დასასრულ ამბდელ ჰალიმ ჰადამმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირია დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერასა და დახმარებას არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლისადმი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ა. გრომიკომ. უწინარეს ყოვლისა, თქვა მან, ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ, ამხანაგო მინისტრო თქვენი გულითადი სიტყვებისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ. მერწმუნეთ, რომ ახლითვე კეთილი გრძნობებით ეკიდებიან საბჭოთა ადამიანები თავისუფლებისმოყვარე სირიელ ხალხს, რომელიც ადგას ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას.

ჩვენი ხალხების მეგობრობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ურთიერთსიმპათიის გრძნობებით, იგი რეალური ძალაა, რომელიც ვლინდება ორმხრივი თანამშრომლობის ნაყოფიერი განვითარებით და მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაზე არსებითი გავლენით და უწინარეს ყოვლისა ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლით.

დღეს დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა თანამიმდევრულად ვითარდებოდა აღმავალი ხაზით, ამასთან ეს განვითარება ხდებოდა რთულ პირობებში, როცა იმპერიალისტური რეაქცია ზედიზედ ცდილობდა წინააღმდეგობა სირიელ ხალხს, რომ ვეღარ მის მიერ არჩეული გზით, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესის გზით.

საბჭოთა კავშირი, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, მუდამ ემხრობოდა არაბ ხალხებს მათს ბრძოლაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ასე იყო 1956 წელს სამთა აგრესიის პერიოდში. ასე იყო 1957 და 1958 წლებში იმპერიალისტური ინტერვენციის პირდაპირი საფრთხის პერიოდში და 1967 წლის ომში. ასე იყო ახლახანაც, როცა ჯერ-ჯერობით ომმა ახლო აღმოსავლეთში.

სირიამ და სხვა არაბულმა ქვეყნებმა, გაუძლეს აგრესიას. და არა მარტო გაუძლეს, არამედ კარგი გაკვეთილიც მიხეცეს აგრესორს. მაგრამ ბრძოლა არაბულ სახელმწიფოთა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობისათვის ჯერ სრულიადაც არ არის დამთავრებული. იგი ჩადგება ახალ პირობებში, რომლებიც არაბული ქვეყნებისა და ყველა მისი მეგობრისაგან მოითხოვენ განსაკუთრებულ ზრუნვას ერთიანი მოქმედებისა და მათი ღონისძიებების კოორდინაციისათვის.

დღეს დაწყებული ჩვენი საუბრები პრეზიდენტ ასადთან და სირიის სხვა ხელმძღვანელებთან უნდა გახდეს ახალი ერთობლივი წვლილი ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრაში მჭიდრო თანამშრომლობასთან ერთად საბჭოთა კავშირი და სირიის არაბთა რესპუბლიკა განაგრძობენ ორმხრივი კავშირურთიერთობის განვითარებას ეკონომიკისა და კულტურის სულ სხვადასხვა დარგში, ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის.

მსოფლიოს ქალაქებში

კელსინკი. უკანასკნელ დღეებში ქალაქის განაპირა უბნებში გაშენდა ახალი მსხვილი საცხოვრებელი რაიონები. ფინელმა მშენებლებმა მაღალი გემოვნებით შეუხამეს თანამედროვე არქიტექტურის შენობები და სავაჭრო ცენტრები ადგილობრივ პეიზაჟს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაძვნარი და კლდეთა სიმრავლე.

სურათზე: ასე გამოიყურება კელსინკის ქალაქ თანამგზავრის ტაპიოლეს სავაჭრო ცენტრი.

საკდესის ფოტო.

ვიზიტი გრძელდება

კუვეიტი, 1 მარტი. (საკდესი). კუვეიტის ეროვნული კრების მოწვეთით აქ მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის მეთაურობით ეწვია კუვეიტის უნივერსიტეტს. დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს უნივერსიტეტის აუდიტორიები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა.

კუვეიტის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ჰალედ ალ-გუნეიმმა დარბაზობა გამართა საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად.

დიალოგიური ურთიერთობა აღდგენილია

ბაღდადი, 1 მარტი. (საკდესი). ერაყი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეთანხმდნენ მომდინარე წლის 28 თებერვლიდან აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც გაწყვიტეს 1965 წელს.

ეს შეთანხმება მიღწეულია ერაყში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივნის ჰანს-გეორგ ზაქსის ვიზიტის შედეგად.

სესიამ მუშაობა დაიწყო

□ ადის-აბება. (საკდესი). აქ მუშაობა დაიწყო აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს 22-ე სესიამ. შეხვედრის მონაწილენი განიხილავენ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკის ორგანიზაციის 1974-75 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტს, შენარჩუნებულ კრიზისთან დაკავშირებულ საკითხებს, შეფრეზიტულ კონფლიქტებს, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან აფრიკის ქვეყნების მოლაპარაკების მიმდინარეობას.

ერთიერთობა აღადგინეს

□ კაირო. (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ მოლიანად აღდგენილია დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

როგორც ცნობილია, ორი ქვეყნის ურთიერთობა გაწყდა 1967 წლის იანვარში.

საიუბილეო გამოფენა

□ ბელგრადი. (საკდესი). ლუბლიანაში ხლოვენიის ხალხთა-განმათავისუფლებელი ბრძოლის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ლენინის პარტია". იგი ეძღვნება რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავს. გამოფენა მოამზადა იუგოსლავიის ხალხთა რევოლუციის მუზეუმმა, მოსკოვის ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმთან ერთად და აქამდე ექსპონირებული იყო ბელგრადში.

მოთხოვნები დააკმაყოფილეს

□ ანკარა. (საკდესი). დამთავრდა ანკარის ორი ათასი ავტობუსის მძღოლთა და კონდუქტორთა გაფიცვა, რომელიც 4 დღეს გრძელდებოდა. ანკარის მუნიციპალიტეტმა დააკმაყოფილა გაფიცულთა მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ. თურქეთის დედაქალაქში განახლდა საავტობუსო ტრანსპორტის მუშაობა.

მდგომარეობა კორდოვის პროვინციაში

□ ბუენოს-აირესი. (საკდესი). კვლავ დაძაბული ვითარებაა არგენტინის კორდოვის პროვინციაში, სადაც პოლიციის ჯვბანაპოწყვმა უიდურეში რამაქციული ქალების მხარდაჭერით ოსოსაგათს ამბოხება დაიწყო. პროვინციის დედაქალაქ კორდოვის ქუჩებს პატრულობენ მეამბოხეთა რაზმები, რომელებმაც ხელში ჩაიგდეს გუბერნატორის რეზიდენცია, საკანონმდებლო ორგანოს შენობა და პროვინციის სხვა მთელი რიგი დაწესებულებანი.

დაპატიმრეს რა პროვინციის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელნი, მეამბოხეებმა მემარჯვენე ორგანიზაციების შეიარაღებული რაზმების აქტიური დახმარებით დაიწყეს „ნადირობა" პროვინციის პროკურორულ ძიებაზე. უკვე დაპატიმრებულია ათასამდე კაცი.

დაპატიმრებული გუბერნატორის ნაცვლად მეამბოხეებმა დანიშნეს თავიანთი დამჭაში.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ
ᲬᲔᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲓᲐᲜ

ეთიოპიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ადის-აბება, 1 მარტი. (საკდესი). ეთიოპიის პრემიერ-მინისტრი ენდელკაჩეუ მაკონენი, რომელსაც დაევალა ახალი მთავრობის შედგენა, ხუთშაბათს გამოვიდა ეროვნული რადიოთი და ჩამოაყალიბა ქვეყნის მდგომარეობის სტაბილიზაციის პროგრამა. მან განაცხადა, რომ სამინისტროთა და სახელმწიფო დაწესებულებათა პასუხისმგებელმა მუშაკებმა უნდა განაგრძონ თავიანთი ფუნქციების შესრულება ახალი კაბინეტის წევრების დანიშვნამდე. პრემიერ-მინისტრმა გასცა განკარგულება, რომ პროვინციების გუბერნატორებმა განახორციელონ კონტროლი საზოგადოებრივი წესრიგისადმი თავიანთ რაიონებში. ენდელკაჩეუ მაკონენმა თქვა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშნამდე იგი კისრულობს მის ფუნქციებს. მან გამოაცხადა, რომ ეთიოპიის დედაქალაქში 1 მარტიდან შემოღებულია კომენდანტის საათი, რომელიც ამოქმედებს საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე.

ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა მოსახლეობას ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგომარეობის ნორმალიზებისათვის მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებას.

ავსტრიელი სტუმრები

— ჩვენ კმაყოფილებით დავინახავდით მოწვეულ ჩამოსულიყავით თბილისში, დიდებულ ქალაქში, რომელიც არავის არ ტოვებს გულგრილს, განაცხადა „ავსტრია-სსრ კავშირის" საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ფრიდრიხ ტრენკლერმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ხ. ტ. რიგვავასთან საუბარში, რომელიც 1 მარტს გაიმართა.

ტრენკლერმა მხარესა და საქართველოს შორის, განაგრძო ფ. ტრენკლერმა მტკიცე, მეგობრული ურთიერთობაა. ჩვენ კმაყოფილი ვართ ამ ურთიერთობით და ვცდილობთ განვავითაროთ და განვამტკიცოთ. იგი. ფრიდრიხ ტრენკლერი და „ავსტრია-სსრ კავშირის" საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრი პედაგოგიური ყურნალი „ხალხისა და სამშობლოს" რედაქტორი იაკობ პერში სსრ კავშირში ჩამოვიდნენ, რათა ხელი მოაწერონ ოქმს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში შეხვდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. (საქინფორმი).

რ. ნიქსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 1 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი გამოვიდა რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების წინაშე და აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მეობებით, ხაზი გაუსვა მან, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე უკეთესია ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების შანსები. ჩვენ ვესწრაფვით ავაშენოთ მსოფლიო, სადაც სხვადასხვა წყობილების ქვეყნები, თქვა პრეზიდენტმა, შეძლებენ მოაგვარონ უთანხმოება კონფრონტაციებისა და იმ შესაძლო შეტაკებათა გარეშე, რომლებსაც შეძლებენ მოჰყვეს ატომური მოსაობა. ამასთან რ. ნიქსონ[illegible] უწოდა ამერიკა[illegible] შტატებში [illegible] გამოსვლებს, [illegible] ვენ, დაეჭვებულ[illegible] ვთქვათ კონტრაქტებზე იმ „სისტემასთან, რომელიც არ მოგვწონსო".

პრეზიდენტმა გაიხსენა პენტაგონისათვის ასიგნებათა შემცირების წინააღმდეგ, თუმცა, მისი თქმით, ქვეყანაში გაისმის მოწოდებანი შეამცირონ სამხედრო ხარჯები. ეს, დაადასტურა პრეზიდენტმა, „მეტად მაცდუნებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს განათლების, საცხოვრებლების, ტრანსპორტის დარგში".

საფრანგეთის ახალი მთავრობა

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). დღეს გამოცხადდა პრემიერ-მინისტრ ჟ. შირაკის მიერ შექმნილი საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა. ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა ჰ. ფუტერი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად — ვ. ჟისკარ დ' ესტენი, შეიარაღებული ძალების მინისტრად — რ. ჯალე. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ჟ. შირაკი, რომელსაც წინანდელ კაბინეტში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მინისტრის პოსტი ეკავა. ამ პოსტზე იგი შეცვალა ჟოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა რ. მარხელენმა.

პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს მითითებათა შესაბამისად შემცირებულია მინისტრთა პოსტების რიცხვი.

შვეიცარიის ახალი კონსტიტუცია

სტოკჰოლმი, 28 თებერვალი. (საკდესი). შვეიცარიის რიგხდაგმა (პარლამენტმა) ოთხშაბათს მიიღო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევა 1975 წლის 1 იანვრიდან, იგი შეცვლის კანონების კრებულს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 1809 წლიდან მოქმედებს.

ახალი კონსტიტუცია, რომლის შემუშავებასაც უკვე ოც წელზე მეტი მოანდომეს, ინარჩუნებს მონარქიას, თუმცა მეფის პროგატივები გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში. ამავე დროს ფართოდება პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილება, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. კონსტიტუცია განამტკიცებს ეკრძო საკუთრების უფლებას.

როგორც ჩვეულებრივად ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში, შვეიცარიის ახალ კონსტიტუციაში დეკლარირებულია მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, მაგრამ არ არის მოცემული მათი განხორციელების გარანტიები.

ახალ კონსტიტუციას ხმა მისცეს მმართველი სოციალ-დემოკრატიული და სამი ბურჟუაზიული ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმა. მემარცხენე პარტიის — შვეიცარიის კომუნისტების სპარლამენტო ფრაქციამ, რომელიც მუდამ მოითხოვდა კონსტიტუციაში სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, ხმა არ მისცა მის მიღებას.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲛᲝᲓᲖᲐᲬᲔ

პროფესორ ნ. სტურუას დაბადების 60 წლისთავის გამო

□

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ილიას-ძე სტურუას დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა.

გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის ვანო სტურუას შვილს ოჯახიდანვე გამოპკეკა მშრომელი ხალხისადმი სიყვარული და კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობა; ოჯახშივე ჩაენერგა მას დიდი ინტერესი ქართველი ხალხის სახელოვანი რევოლუციური წარსულისადმი.

თავდაპირველად ნ. სტურუა ხაინანერო საქმეს სწავლობდა. 1936 წელს მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მაგრამ ინჟინრად დიდ ხანს არ უმუშავია. 1939 წლის ოგვისტოში იგი პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს.

ერთხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობდა (ინსტრუქტორად, სექტორის გამგედ), 1942-1947 წლებში კი პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო; 1948 წლის იანვარში ნ. სტურუა აირჩიეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველ მდივნად; 1953 წლის აპრილში ნ. სტურუა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩიეს, სადაც იგი 1954 წლის იანვრამდე მუშაობდა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ნ. სტურუამ ყველგან, სადაც კი მუშაობდა თავისი პრინციპულობით, საქმისადმი სიყვარულით, თავმდაბლობით, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნელობით გულწრფელი პატივცემა დაიმსახურა.

ნ. სტურუა სწავლობდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, სადაც მან სოლიდური თეორიული ცოდნა შეიძინა. 1953 წელს ნ. სტურუამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1965 წელს სადოქტორო დისერტაცია და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სარისხი მიენიჭა. 1967 წელს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ მას პროფესორის წოდება მიანიჭა. შედარებით მოკლე დროში მან 40-მდე მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა.

ნ. სტურუას მხარესა და საქართველოს შორის, განაგრძო ფ. ტრენკლერმა მტკიცე, მეგობრული ურთიერთობაა. ჩვენ კმაყოფილი ვართ ამ ურთიერთობით და ვცდილობთ განვავითაროთ და განვამტკიცოთ. იგი. ფრიდრიხ ტრენკლერი და „ავსტრია-სსრ კავშირის" საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრი პედაგოგიური ჟურნალი „ხალხისა და სამშობლოს" რედაქტორი იაკობ პერში სსრ კავშირში ჩამოვიდნენ, რათა ხელი მოაწერონ ოქმს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში შეხვდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. (საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲛᲝᲓᲖᲐᲬᲔ

პროფესორ ნ. სტურუას დაბადების 60 წლისთავის გამო

□

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ილიას-ძე სტურუას დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა.

გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის ვანო სტურუას შვილს ოჯახიდანვე გამოპკეკა მშრომელი ხალხისადმი სიყვარული და კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობა; ოჯახშივე ჩაენერგა მას დიდი ინტერესი ქართველი ხალხის სახელოვანი რევოლუციური წარსულისადმი.

თავდაპირველად ნ. სტურუა ხაინანერო საქმეს სწავლობდა. 1936 წელს მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მაგრამ ინჟინრად დიდ ხანს არ უმუშავია. 1939 წლის ოგვისტოში იგი პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს.

ერთხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობდა (ინსტრუქტორად, სექტორის გამგედ), 1942-1947 წლებში კი პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი იყო; 1948 წლის იანვარში ნ. სტურუა აირჩიეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ — თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველ მდივნად; 1953 წლის აპრილში ნ. სტურუა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩიეს, სადაც იგი 1954 წლის იანვრამდე მუშაობდა.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ნ. სტურუამ ყველგან, სადაც კი მუშაობდა თავისი პრინციპულობით, საქმისადმი სიყვარულით, თავმდაბლობით, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნელობით გულწრფელი პატივცემა დაიმსახურა.

ნ. სტურუა სწავლობდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, სადაც მან სოლიდური თეორიული ცოდნა შეიძინა. 1953 წელს ნ. სტურუამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1965 წელს სადოქტორო დისერტაცია და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სარისხი მიენიჭა. 1967 წელს უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ მას პროფესორის წოდება მიანიჭა. შედარებით მოკლე დროში მან 40-მდე მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა.

ნ. სტურუას ნაშრომებში შესწავლილი და გაუანალიზებულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის, აგრეთვე ამერიკა-კავკასიის ხალხთა რევოლუციური წარსულის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ნ. სტურუამ საპატიო წვლილი შეიტანა ისეთი საკვანძო პრობლემების შესწავლაში, როგორიც არის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობა ლენინური იდეების გამარჯვებისათვის საქართველოსა და ამერიკა-კავკასიაში, მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული ბედის გადაწყვეტისათვის, ამერიკა-კავკასიის ხალხთა ძმური სოლიდარობა და მეგობრობა, სოციალისტური მშენებლობის ისტორია საქართველოში და სხვ.

ნაშრომში „ამერიკა-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისა და განმტკიცების ისტორიიდან" მან მეცნიერული სიღრმით გაიშუქა ამერიკა-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის არა ერთი ძირითადი საკითხი.

ნ. სტურუას კალამს ეკუთვნის ნაშრომები 1905-1907 წლების რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ისტორიიდან. ნაშრომში „საქართველო 1917 წელს" ავტორი ახლებურად აყენებს და წყვეტს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ორხელისუფლებიანობის პრობლემა, მენშევიკების და ესერების მიმართ ლენინური კრიზისის შედეგები და ბურჟუაზიული ეროვნული უფლებათა ფორმის წარმატებით გამოყენების მაგალითი ბეზანსონის საათის ქარხანა „ლიპის" მუშათა მოქმედება, რომელმაც ხელში აიღეს საწარმოს მართვა და განაგრძობდნენ პროდუქციის გამოშვებას. მათი აზრი თვის შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც მსარი დაუჭირეს საფრანგეთის მშრომელებმა, ახლახან გამარჯვებით დაგვირგვინდა. მუშათა მიერ საწარმოთა დაკავება ბრძოლის ვანსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ფორმაა ენერგეტიკული კრიზისის პირობებში, როცა მსხვილი კონცერნების მეპატრონეები ამცირებენ წარმოებას და მასობრივად ითხოვენ მუშებს.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საბჭოეთის მოქრაობის ახალგაზელი ეტაპის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი. ბრძოლა მშრომელთა საარსებო საჭიროებისათვის, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სულ უფრო მეტად ეროვნის ბრძოლას მეფეფიფეფულ საერთო-ეროვნულ ამოცანების გადაჭრისათვის.

მაგალითად, იტალიელ მშრომელთა ამასწინანდელი საყოველთაო გაფიცვის დროს აყენებდნენ ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის ძირფესვიანი შეცვლა, სოციალური რეფორმების გატარება, ქვეყნის ჩამორჩენილი რაიონების განვითარება, ნეოფაშისტთა საქმიანობის აკვეთა. პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებენ იაპონიის, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებიც. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იზრდება მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნება.

Ვ. ᲚᲔᲠᲝᲕᲘ.

ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲨᲔᲪᲕᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

საკდესის საერთაშორისო მიმოხილვა

ᲒᲘᲒᲘᲓᲘᲜᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲑᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲛᲝ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1974 Წ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ

ᲑᲔᲚᲝᲒᲕᲜᲔᲗᲘᲡ სპეციალისტთა და მოყვარულთა ინტერესი გამოწვეა საქართველოს სპეციალური რესპუბლიკური სამეცნიერო-სარეკვერაციო სახელოსნოს არქიტექტორთა შემოქმედებითმა ანგარიშმა. არქიტექტორის ცენტრალურ სახლში, სადაც შეხვედრა გაიმართა, სტუმრებმა ილიპარაკეს უძველეს ნაგებობათა აღდგენასთან დაკავშირებულ მუშაობაზე. ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში სახელმწიფო იცავს ხუთი ათასამდე სიძველის ძეგლს. ბევრი მათგანი ათასობით წლისაა.

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ფოტოგამოფენამ, რომელიც არქიტექტორის სახლის ფოიეში იყო მოწყობილი. გამოფენაზე, კერძოდ, წარმოდგენილია მასალები, რომლებიც ასახავენ ვარძიაში მიმდინარე სამუშაოებს. მათ შესახებ მოსკოველებს ესაუბრა რესტავრატორი რ. გვერდწითელი. იგი დაწვრილებით შეეხო ტუფის სქელ ფენაში გამოკვეთილი კომპლექსის აღდგენასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. კლდეებს აქ ამაგრებენ ბეტონით, სპეციალური ხსნარების ინექციებით, რომელთა რეცეპტურა შემუშავებულია სახელოსნოში და რაც გზას აცალებენ შემდგომი ნგრევისაგან. რესტავრატორები ამაგრებენ თვით გამოქვაბულებსაც, რომლებშიც ძველმა ოსტატებმა გამოკვეთეს საცხოვრებელი ოთახები, მარნები, თავლები.

ძველი არქიტექტურის „მეცნიერია“ ერწყმის თანამედროვე ქალაქების აწსამლებს. ამ მხრივ მოსკოველები დაინტერესა ბიჭვინთაში აღდგენილმა მე-11 საუკუნის ტაძარმა, რომელსაც ახლა საკონცერტო დარბაზად იყენებენ, მე-6 საუკუნის ჯვრის მონასტერმა, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული არქიტექტურის მარგალიტად.

შეხვედრის დამსწრეთ აცნობეს აგრეთვე, რომ მალე ტურისტებს მიიწვევს უძველესი სოფელი შატილიც, რომელიც კავკასიონის „მთავარ ქედზე, ჩაჩნეთ-ინგუშეთისაკენ მიმავალ ტრასაზე მდებარეობს. ტურისტებს შეეძლებათ გაიაროს ციცაბო კოშკებისაკენ მიმავალ საფეხურებით ქუჩებში, დაათვალიერონ ძველებური ლუდის ქარხნები, წყლის წისქვილები. წარსული საუკუნეების ატმოსფეროს დამთვალიერებლები იგრძნობენ ყოფილ საცხოვრებელ სახლებში მოწყობილ სასტუმროებში. (საკ.ინ.).

ᲐᲠ ᲨᲔᲠᲩᲐᲗ!

ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲒᲐᲙᲕᲣᲬᲘᲗᲝᲗ ᲡᲐᲨᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ

ᲪᲘᲪᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ გამგეობამ განიხილა გარდაბნის, გურჯაანის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის, ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების კოოპერაციულ ორგანიზაციათა საშოგადო ებრივი კვების საწარმოების იმ მუშაობის შემოწმების შედეგები, რომელსაც ეწევიან ცეკავშირის სისტემის მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 2 თებერვლის დადგენილებაში აღნიშნულ სოფლის მოსახლეობის საკვებრ მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შემოწმების დროს გამოვლინდა საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევანი. გარდაბნის რაიკოოპკავშირის რესტორან „კოხტაში“ ერთ-ერთ მომხმარებელს ზედმეტი გადაახდევინეს 6 მანეთი და 91 კაპიკი, კოჯრის სასოფლო კოოპკავშირის რესტორან „თელეთში“ — 14 მანეთი და 09 კაპიკი.

ანგარიშში, წონაში მოტყუების, უფაქტურო პროდუქციის ვაჭრობის, სამზარეულოდან და ბუფეტიდან პროდუქტების უწესოდ გამვლების, კალკულაციისა და მენიუს უქონლობის, პროდუქტების გადამალვის ფაქტები და საშოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის დადგენილი წესების სხვა უხეში დარღვევები აღმოჩნდა გარდაბნის რაიკოოპკავშირის გლდანის რესტორანში, გურჯაანის რაიკოოპკავშირის რესტორან „ალაზანში“, საგარეჯოს რაიკოოპკავშირის რესტორან „გარეჯში“, ზესტაფონის რაიკოოპკავშირის რესტორან „წევაში“, ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის რესტორან „ოდაში“, გორის რაიკოოპკავშირის რესტორან „გორში“, ქარელის რაიონის აგარის პავილიონში, თერჯოლის რაიკოოპკავშირის რესტორან „ჭიშურაში“.

ამას გარდა, შემოწმების დროს გამოვლინდა ფაქტები, როცა არ ჰქონდათ მენიუში აღნიშნული კერძები. საშოგადოებრივი კვების ბევრ შემოწმებულ საწარმოში იყო კერძებისა და საუზმის მცირე ასორტიმენტი, არ მზადდებოდა თევზის, ბოსტნეულისა და ბურღულეულის კერძები.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ შეუწყნარებლად სუსტ კონტროლს უწევენ საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობას კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობებისა და საზოგადოებრივი კვების გაერთიანებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

ცეკავშირის გამგეობამ შემოწმების მასალები გადაუგზავნა კოოპერაციულ ორგანიზაციათა შესაბამის გამგეობებს და დაავალა სამუშაოდან მოხსნან ყველა, ვისაც უშუალო ბრალი მიუძღვის მომხმარებელთა მოტყუებასა და საბჭოთა ვაჭრობის წესების სხვა უხეშ დარღვევებში, მათ შესახებ მასალები კი გადასცეს საგამომძიებლო ორგანოებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

ცეკავშირის გამგეობამ ოავის გადაწყვეტილებაში დაავალა გარდაბნის რაიკოოპკავშირის გამგეობას. თანამდებობიდან მოხსნას რესტორნების „კოხტას“, „თელეთის“, „ზაჰესის“ და „ლღდანის“ დირექტორები (ხვედელიძე, კიკნავლიძე, რევაზაშვილი და ყუშიტაშვილი) იმის გამო, რომ კონტროლს არ უწევდნენ მუშაობას მინდობილ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში. აქ დაშვებული იყო მომხმარებელთა ანგარიშში მოტყუების და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის უხეში ფაქტები.

ცნობად არის მიღებული, რომ გარდაბნის რაიკოოპკავშირის და ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის საზოგადოებრივი კვების გაერთიანებათა ლიკვიდაციის გამო მათი დირექტორები განთავისუფლებული არიან სამუშაოდან.

ცნობად არის მიღებული აგრეთვე, რომ რესტორნების „გორის“ და „წევის“ დირექტორები მოხსნილი არიან სამუშაოდან, ხოლო საგარეჯოს და ქარელის რაიკოოპკავშირების საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორები (კერატიშვილი და ტიბილაშვილი) განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაედო საზოგადოებრივი კვების გაერთიანებათა და საწარმოთა რიგ ხელმძღვანელებს.

კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობათა ხელმძღვანელებს, ნათქვამია ცეკავშირის გამგეობის გადაწყვეტილებაში, ევალებათ მკაცრი და ქმედითი კონტროლი გაუწიონ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას და მიაღწიონ ვაჭრობისა და მოსახლეობის მოსახურების წესების განუხრელ დაცვას. (საქინფორმი).

ᲜᲘᲠᲩᲘ ᲔᲡᲐᲢᲕᲘᲠᲔᲑᲘ

ᲥᲔᲓᲔᲚᲗᲐ თაბაშირის სხვადასხვა ფიგურები, ბარელიეფები ჰკიდია, მაგიდაზე კი აწყვია სხვადასხვა ზომისა და ფორმის თიხის დოქები. სახატავ დაფებთან თავდახრილნი არიან გოგონები და ბიჭუნები. სიჩუმეს მხოლოდ ფანჯრის ჭრიალი არღვევს. მიმდინარეობს მეცადინეობა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სახასლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტში, რომლის გამგე მხატვარი ციალა კანდელაკი უურადღებით ადევნებს თვალყურს ყოველ შტრიხს. ეს გასაგებია: ბავშვები ხომ აქ ხატვის ხერხოზულად სწავლას იწყებენ. ბავშვების სახვით ხელოვნებისადმი ზიარების კეთილშობილურ საქმეს მთელ ძალას, ენერგიასა და ცოდნას ახმარენ დამსახურებული პედაგოგი შალვა კაპანაძე, რაფაელ მაყაშვილი და აკაკი რამიშვილი.

პიონერთა და მოსწავლეთა სახასლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტს სიყვარულით „მცირე სამხატვრო აკადემიას“ ეძახიან. მრავალმა ცნობილმა მხატვარმა აქ დაიწყო ხატვისა და ფერწერის საიდუმლოებების დაუფლება, გაიკეთა პირველი ნაბიჯები.

პიონერთა და მოსწავლეთა ნორჩი მხატვრები აქტიურად მონაწილეობენ ბავშვთა ხელოვნების ყველა საკავშირო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე. მათი ნამუშევარი მრავალჯერ დაჯილდოდა მედლებითა და დიპლომებით, ბავშვებთან ხშირად მოდიან სტუმრად ცნობილი მხატვრები, პატარები მიდიან მათთან სახელოსნოებში.

დღეს კაბინეტის 12 წრეში სახვით ხელოვნებაზე შეუვარებული 220 ბავშვი მეცადინეობს. ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კაბინეტის გამგე, მხატვარი ციალა კანდელაკი დავალებას აძლევს მესამე კლასის მოსწავლეს ზეინაბ ბაშალეიშვილს; ეტიუდზე მუშაობახან.

Ა. რუსᲐᲫᲘᲡ ფოტო. (საკინფორმის ფოტოქრონიკა).



8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲜᲝᲜᲐ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ სამყაროში კარგად იცნობენ ბელგრადის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ქალთა დღეს — 8 მარტს ეძღვნება. ადრე აქ ქართველ მოჭადრაკეებს — ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა აღელქსანდრიასაც მოუპოვებიათ გაბარჯვება. 8 მარტის ტურნირი ყოველთვის ძლიერ შემადგენლობას იკრებს.

მორიგი ასეთი შეჯიბრება ხვალ იწყება და რა დღეს გასტახს. საბჭოთა კავშირიდან ამჯერად ორი მოჭადრაკე ითამაშებს: მსოფლიოს ჩემპიონი გაფრინდაშვილი და საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი, საერთაშორისო ოსტატი მედიანიკოვა. თბილისში ბრწყინვალე თამაშის შემდეგ მედიანიკოვა საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭადრაკეების რიცხვს მიეკუთვნა.

ვინ იქნება ჩვენი მოჭადრაკეების მთავარი მეტოქე? პირველ რიგში, ეტყობა, გამოჩენილი რუმინელი ოსტატი ნიკოლაუ. იგი უკანასკნელი დარჩა მენორკას საზონათშორისო ტურნირის შედეგით, სადაც პრიზი ვერ მოიპოვა. ამის შემდეგ ნიკოლაუ ძლიერი კონკურენციის მიუხედავად რუმინეთის ჩემპიონი გახდა, სულ ახლახან კი პირველი-მეორე ადგილები გიიყო ვეიკ-ან-ზეეს (ჰოლანდია) ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. აქ ნიკოლაუმ, ისევე როგორც ცნობილმა უნგრელმა ოსტატმა ივანკამ, 11 შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა. ნიკოლაუ საჭადრაკო თეორიის ჩინებული მცოდნეა, კარგი ტექნიკა და საბრძოლო სულისკვეთებაც აქვს. იგი, უნდა ვიფიქროთ, შეეცდება დაეუფლოს ერთ-ერთ საპრიზო ადგილს.

ბელგრადში მოულიან ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი მოჭადრაკის ვოკრეალოვას, ციმერმანის (ჰოლანდია) და ვისნეციკის (ტფრ) გამოსვლას.

მასპინძელთაგან მოჭადრაკეთა დიდი ჯგუფი ითამაშებს. როგორც ყოველთვის, დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილ ოსტატ ლაზარევიჩის თამაში. მენორკიდან დაბრუნების შემდეგ ლაზარევიჩი მეცრე ხანს ისვენებდა, შემდეგ კი ჰოლანდიში გაემგზავრა, სადაც ითამაშა ტრადიციულ „დანლონ-ტურნირში“. აქ 8 მოჭადრაკე გამოდიოდა. ლაზარევიჩს 7 შეხვედრიდან 4,5 ქულით მხოლოდ მესამე ადგილი დარჩა. 5,5 ქულით პირველი ჯილდო მოიპოვა თბილისელთა ძველმა ნაცნობმა, იუგოსლავიის ჩემპიონმა, კალხბრენერმა. ახლა ეს ახალგაზრდა ოსტატი ლაზარევიჩს ეცილება იუგოსლავიის № 1 მოჭადრაკის წოდებას.

Ზ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსი“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟი, რომლის შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო“ — 10 (ბუერი), 11 (ველოსპორტი), 3 (აკრობატიკა), 47 (ბურთაობა ბოკეი), 1 (ავიასპორტი), 39 (სპმბო);

„სპორტლოტო-2“ — 33 (რეგბი), 45 (ფეხბურთი), 12 (წყალბადოტორო სპორტი), 13 (წყალბადოლამური სპორტი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 14 (ფრენბურთი).

შემდეგი ტირაჟი 10 მარტს გაიმართება. (საკინფ.).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔᲐ 12 ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ᲥᲘᲩᲘᲜᲐᲣᲡ და ტალინში დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის (ისინი ეაოფილი არიან ორ ჯგუფად). ესტონეთის დედაქალაქში გამოდის სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, მოსკოვის, თბილისის, ალმა-ათისა და ხარკოვის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“. ძერჟინსკში (გორკის ოლქი) ასპარეზობენ საკავშირო თასის მფლობელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური კლუბი, კიევისა და ლვოვის „დინამო“, მოსკოვის „ტორპედო“. ბაქოს მეზღვაურთა გუნდი და ეოლეგოგრადის „სპარტაკი“.

წლევანდელ ტურნირში პირველად იღებს მონაწილეობას 12 გუნდი ნაცვლად ათისა. ბოლო ორ ადგილზე გამოსული კოლექტივი გაისად ითამაშებს პირველ ჯგუფში, საიდანაც თავის მხრივ უძლიერესებს ორი საუკეთესო გუნდი დაემატება.

ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘᲗᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

□ **ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲗ.** ტაშკენტში დასრულდა უბლოვდება ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის წინასწარი თამაშები.

სსრ კავშირისა და „ფურ-ის (პირველი ჯგუფი) გუნდებმა ხუთ-ხუთი ქულა მოაგროვეს. ჩვენმა პირველმა ნაკრებმა ბოლო ტურში მოუგო ფინეთის გუნდს — 2:1, ხოლო გფრ-მა ანგარიშით 1:0 შეეცილის გუნდს. მეორე ჯგუფში ოთხ-ოთხ ქულით ლიდერობენ გდრ-ისა და უბზეკეთის ფეხბურთელები.

□ **ᲙᲐᲚᲐᲗᲣᲠᲘᲗᲘ.** ლენინგრადში ჩემპიონატის ლიდერების—ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკის“ ვაჟთა გუნდებს შორის შეხვედრაში პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 34:34, ვერც მეორე ნახევარმა გამოავლინა გამარჯვებული — 64:64. დაინიშნა დამატებითი ხუთი წუთი, რომელმაც წარმატება მოუტანა არმიელებს — 72:70.



ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ“ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲙᲘ კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის ოფიციალური ორგანო-ჟურნალი „პრობლემა“, რომელიც ოუგოსლავიაში გამოდის გამოჩენილი საჭადრაკო კომპოზიტორის ინკინერ ნენად პეტროვიჩის ინიციატივით და რედაქტორობით, რეგულარულად ატარებს სხვადასხვა კონკურსებს კომპოზიციების შედგენასა და ამოხსნაში.

ახლახან „პრობლემის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სამსვლიანი ამოცანების შედგენის XVI ტრადიციული კონკურსის შედეგები. 1969-1970 წლებში საკონკურსოდ დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან მსაჯმა, ცნობილმა დანიელმა სავერაკო კომპოზიტორმა ვალტერ ირგენსონმა (კოპენჰაგენი) საუკეთესოდ აღიარა და I პრიზი მიანიჭა ქართველი პრობლემისტის ოთარ ტაბიძის ამოცანას. საინტერესოა, რომ ამ ნაწარმოებმა არა მარტო მსაჯის, არამედ ჟურნალის ძლიერი ამომხსნელების საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ო. ტაბიძის ეს სპორტული წარმატება პირველი არ არის, მაგრამ შემოქმედებითი თვალსაზრისით, ალბათ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს. მისი საკომპოზიციო ბიოგრაფია ჯერ კიდევ 1939 წლიდან იწყება, როცა თექვსმეტი წლის ჭაბუკმა პრესაში თავისი პირველი ამოცანა გამოაქვეყნა. შთამბეჭდავი იყო მისი პირველი სეიროზული სპორტული გამარჯვებაც — 1947 წელს ავტორის ორმა ამოცანამ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე I-II პრიზები თანაბრად გაინაწილა. 1957 წელს კი ნიჭიერი პრობლემისტი საქართველოს პირველი პირველობის ჩემპიონი გახდა სამსვლიანი ამოცანების განხრით.

ო. ტაბიძის მიერ შემქმნილი ნაწარმოებების კოლექციაა არ არის დიდი, მაგრამ მას ეანრული მრავალფეროვნება და თვითმყოფი ხელწერა ახასიათებს. მისი ამოცანები დაბეჭდილობითა და გეოგრაფიით ვამოირჩევა. ხოლო კომპოზიციის შედგენის ტექნიკა სანიმუშოა. ჟურნალ „პრობლემის“ ლაურეატი-ამოცანაც ავტორის მახვილგონივრობის და კონსტრუქციული ნიჭის საუკეთესო მაჩვენებელია. ეს ნაწარმოები, რომლის ამოხსნასაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ, მეტად ორიგინალური ჩანაფიქრით ალაგრობს ყურადღებას. კერძოდ, მოგზიბლავია ლაბიერთა ანალოგიური შეწირვები, რომლებიც იდეურ მთლიანობაში შესანიშნავ „სიდეფოფლო თაიგულს“ ქმნის.

Თ. ᲜᲘᲜᲘᲫᲔ.

Ο. ᲢᲐᲑᲘᲫᲔ, 1970

ᲗᲐᲛᲐᲗᲘ 3 ᲡᲕᲚᲐᲕᲘ



ᲗᲔᲚᲘᲗ ᲗᲘᲗᲘᲡᲔᲜᲘ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ!

ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ?

ᲒᲐᲖᲗᲨᲘ „კომუნისტის“ 3 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული ბ. ნადარეიშვილის საახალწლო ეტიუდი „ნაძვის ხე“ (მფ1, ლc8, ᲐᲮc8, c7, e8, e7, g8, g7 — მფe4, ეh2, ეh2, ᲐᲮc5, b5, f5, g5 მოგება) შემდეგნაირად ოხსნება: 1. ლb5! ეh1+ 2. ლf1 ეb1+ 3. მფd2 ეh2+ 4. ლe2 ეb2+ 5. მფc1 ეh:e2 6. e8ლ+ მფd8 7. ლd4 და იგებენ.

ეინალდან დიაგრამაზე აკლდა შავი პიეკი c5, ამომხსნელებმა: კ. მგელაძემ (სოხუმი), ა. ხიხარულიძემ (ჩიხატაურის რ. საბუბანი), მ. ბრაკუნლმა (დუშეთი), ა. ხურცილავამ (თბილისი), პ. მჭედლიძემ (თელავი), ა. ითრა-მაშვილმა (გორი) მიაგნეს თანამოხსნას.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი ამოხსნა: შ. ჭყონია (ფოთი), ვ. შენგელაია (ქუთაისი), დ. ყეენიშვილი (თიანეთი), ნ. ვაჩნაძე და მ. შენგელაია (ორივე — თბილისი).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 4 ᲛᲐᲠᲢᲘ

16.00 — დოკუმენტური ფილმი, 17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — საბავშვო მუსიკის კვირეული, 18.45 — „მსოფლიო დღეს“, 19.00 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.15 — „ლიტვის სსრ შემსვლელი გეგმა — მოქმედებაში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — მოხმარება და მომხმარებელი — სატელევიზიო ჟურნალი, 21.20 — კინონარკვევი, 21.30 — მელრის ვაჟთა ვოკალური ოქტეტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ეთრეი საკაძე“ (II სერია).

□ 5 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.00 — სკოლების დასახმარებლად: მათემატიკა (IV-კლასელთათვის. წრფივი პარალელობის ნიშნები), 11.25 — მხატვრული ფილმი — „ფრე“, 13.00 — სტუდენტთა დასახმარებლად: ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებ ლ ად: ქართული ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის — „ჭუთასური — საუკეთესო“, 19.45 — სპორტული მიმოხილვა, 20.05 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — სატელევიზიო სპექტაკლი „აღმოსავლეთის ექსპრესი“ I ნაწილი. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია: მსოფლიოს ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა გფრ-დან).

□ 6 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო ნარკვევი „საბჭოთა ხასიათი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი, 12.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „თავადი იგორი“, 16.50 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.20 — კინონარკვევი, 17.30 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — საბავშვო მუსიკის კვირეული, 18.45 — „პოლიტიკური ენციკლოპედია“, 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მსოფლიოს ნამარხი ქალაქი — მუჰენჯაროზი“, 19.20 — „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ“ — „ᲛᲝᲓᲐᲠᲜᲘᲡᲢᲘᲚᲘ“, 21.30 — „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲠᲕᲐ“, 22.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“, 22.30 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა.

□ 7 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის — „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური პროგრამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია: 1. დოკუმენტური ფილმი „რუსუბლიკა ბიაკალს იქნა“; 2. მხატვრული ფილმი „კლავა ივანოვას შესახებ“, 16.30 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად: ქიმიაში, 17.15 — სსრკ ისტორიაში, 18.00 — ფერადი ტელევიზია: ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲚᲨᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔ, 8 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲝᲜᲘᲗ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲚᲐᲪᲘᲐ, 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „აღმოსავლეთის ექსპრესი“ II ნაწილი — პრემიერა (საქართველოს „ტელევიზიის დადგმა), 23.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

□ 8 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია: დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია ბავშვებისათვის. „მოდი, ზღაპარო!“, 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — „თქვენთვის, შობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „ეკრანი იკრებს მეგობრებს“ — საბჭოთა კავშირი-ბულგარეთი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — „ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲠᲗᲝᲚᲝᲑᲐ“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — „ეკრანზეა კინოკომედია“: მხატვრული ფილმი „ქორწილი“, 14.30 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის“, 15.00 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადმოცემა სვერდლოვსკიდან) და თბილისიდან), 16.30 — ფერადი ტელევიზია: თქვენ გიპასუხებთ საბჭოთა კავშირის ჯუალთა მინისტრი ამხ. ბ. პ. ბეშჩევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — „მუსიკის სამყაროში“. სატელევიზიო მიმოხილვა, 18.45 — „დოლი შირაკში“, 19.00 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 19.15 — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადაზე (გადაცემა მოსკოვიდან), 19.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „აღმოსავლეთის ექსპრესი“, III ნაწილი. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ცხრაკლიტული“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია: მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა გფრ-დან).

10 ᲛᲐᲠᲢᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის — „ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡᲢᲐᲠᲐ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „შეეცადეთ წავლოთ რუსული ენა“, 11.45 — „ᲯᲐᲓᲝᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲪᲠᲐᲜᲘ“, 12.05 — „საკადრაკო სკოლა“, 12.30 — ფერადი ტელევიზია: მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია მათემატიკაში, 14.00 — სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 14.55 — საბავშვო მუსიკის კვირეული, 16.00 — „ᲐᲮᲐᲚᲐᲖᲠᲔᲜᲝᲑᲐ“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.00 — „კინოს სამყაროში“, 18.00 — ფერადი ტელევიზია, მსოფლიო ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა გფრ-დან), 20.30 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „ᲡᲐᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ“ — „ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ — ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ“, 21.30 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ“, 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა.

ᲠᲐᲓᲘᲝ

3 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

10.00 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ“. ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, 10.15 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ“. ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, 10.30 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ“. ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, 11.00 — „ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ“. ᲡᲐᲛᲣᲡ